GRASS
REFORMANDA

18.11.2013

№659

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ქალბატონო/ბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ, შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- სოფლების ჩამონათვალი, რომელთაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში არ მიეწოდებოდათ ელექტროენერგია;
- გთხოთ, განმარტოთ, რა ტიპის შეზღუდვებზეა საუბარი, ელექტროენერგიის მიწოდება სრულად იყო შეზღუდული, თუ არსებობდა რაიმე გრაფიკი, რომლის მიხედვითაც ელექტროენერგიის მიწოდების თვალსაზრისით იყო გარკვეული ლიმიტები დაწესებული?
- აგრეთვე, გთხოვთ, განგვიმარტოთ აღნიშნული პრობლემის ამ დრომდე არსებობის მიზეზები;
- რამდენკომლიან სოფლებზეა საუბარი?
- 2012 წლის 1 ოქტომბრიდან ზუსტად რომელ და რამდენ სოფელში მოგვარდა მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების საკითხი?
- აგრეთვე, გასულ წლებში სამინისტროს მხრიდან აღნიშნულ საკითხზე მუშაობისა და პრობლემის მოგვარების დინამიკა (2008, 2009, 2010, 2011 და 2012 წლების მდგომარეობით);
- ამ მომენტისათვის კიდევ რამდენი სოფლის საკითხია გადასაჭრელი?
- რა ტიპის სამუშაოები მიმდინარეობს აღნიშნული პრობლემის სრულად მოსაგვარებლად?
- სავარაუდო დრო, რომელშიც მოხდება ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილი სოფლების პრობლემის სრულად გადაჭრა?

პატივისცემით,

სერგი კაპანაძე

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) დირექტორი

მისამართი:
თბილისი, რაზმაძის ქ. #15
საკონტაქტო პირი:
ნატალია ვახტანგაშვილი
მობ: 555260927 / e-mail: n.vakhtangashvili@factcheck.ge
nataliavakhtangashvili@gmail.com

საქართველოს რეფორმების ასოციაცია GRASS NNLE Georgia's Reforms Associates 406077579